საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი და შემდეგი შენიშვნების სახით დაუბრუნდა მუნიციპალიტეტის მერიას:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები უნდა გაიზარდოს, რადგან 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის ზოგიერთ მუხლში მეტია დაგეგმილი. მაგალითად: მოსაკრებელი წყლის რესურსების სარგებლობისთვის 2018 წელს 1 800 ათასი ლარი იყო დაგეგმილი, 2019 წლის ბიუჯეტში დაგეგმილია 1 000 ათასი ლარი. უნდა გაიზარდოს 800 ათასი ლარით.
- შემოსავლების გაზრდა შეიძლება გრანტების მოძიებით, რომელიც ითხოვს თანადაფინანსებას, რაც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ პროექტში, გაზრდილი ბიუჯეტი საშუალებას მოგვცემს დავაფინანსოთ მეტი პროექტები და ღონისძიებები;
- პროგრამული კოდი (03.09)- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები.

დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელია, დაფინანსდეს პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა. შესაბამისად, დადგინდება საკარანტინო მავნებლების გავრცელების არეალი და პერიოდები. ჩატარდება საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. დაინტერესებული ფერმერები მოინახულებენ საქართველოში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ მეურნეობებს. მოეწყობა აგროტურები. დაინტერესებული პირები გაგზავნილი იქნება გადამზადების კურსებზე. მოხდება მათი თანადაფინანსება. მოწვეული სპეციალისტები ჩაატარებენ ლექცია-სემინარებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

- „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული 2018 წლის 30 მარტის N30 განკარგულების „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობისა და ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ

ღონისძიებათა შესახებ” და 2018 წლის N72 განგარგულების “სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” შესაბამისად, მოხდეს თანხების გამოყოფა 2019 წლის ბიუჯეტიში.

- სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 2018 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N12) კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოს თანხა, ა(ა)ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ თანამშრომლებისთვის, სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, (მოხდეს ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია ან ახალი ფართის გამოყოფა);
- მოხდეს ა(ა)ი.პ „ კულტურის ცენტრში“ არსებულ ანსამბლის წევრთა შრომის ანაზღაურების კორექტირება;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლას 2020 წელს დაარსებიდან უსრულდება 60 წელი. აქედან გამომდინარე, 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის 100,0 ათასი ლარი.
- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 32-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს ფრაქციის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით ფრაქციას გამოეყოფა საკრებულოს სხდომათა დარბაზში შესაბამისი ადგილი, ხოლო საკრებულოს შენობაში – სამუშაო ფართობი და შესაბამისი ინვენტარი. იმის გამო, რომ საკრებულოს ზოგიერთ ფრაქციას არ გააჩნია შესაბამისი ფართი და არ არის უზრუნველყოფილი სამუშაო გარემოთი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჩატარდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები საკრებულოს რამდენიმე ოთახში.
- გასაზრდელია დასუფთავების მოსაკრებლის რაოდენობა, როგორც კურორტ ბახმაროში, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- ა.(ა).ი.პ. კომუნალურ სამსახურის სხივის მიერ, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. ბიუჯეტში არ არის ნაჩვენები ხეებისა და დეკორატიული მცენარეების შესყიდვა, და გთხოვთ გაითვალისწინოთ.

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში ქონების გადასახადიდან დაგეგმილია 1600,0 ათასი ლარი. 2018 წლის სექტემბრის ჩათვლით შემოვიდა 1877,3 ათასი ლარი,რაც დაგეგმილზე 277,3 ათასი ლარით მეტია. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაიზარდოს ამ მუხლში 2019 წლის ბიუჯეტის გეგმა.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან 2018 წლის ბიუჯეტში სექტემბრის თვის ჩათვლით შემოსულია 39,2 ათასი ლარი. 3,4ათასი ლარით მეტი, 2019 წლის გეგმიურ (35,8)მაჩვენებელზე. ამდენად, შესაძლებელია გაიზარდოს საბიუჯეტო შემოსვლები 2019 წელში.

- ზოგადი განთლების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის პროგრამულ კოდში დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები , რომელებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვებენ სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრულ ოდენობას (100%), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან წახალისების მიზნით ერთჯერადი გასაცემლის სახით მიიღებენ 600 (ექვსასი) ლარს, სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ინფორმაციის საფუძველზე.“ შესაბამის პროგრამულ კოდში თანხის მოცულობა გაიზარდოს მინიმუმ 6.0 ათასი (ექვსი ათასი) ლარით.
- განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამაში გათვალისწინებულ თანხას 60.0 ათას (სამოციათას) ლარს დაემატოს 10.0 ათასი (ათი ათასი) ლარი, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას ჩოხატაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის 6-12 კლასებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა.

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამულ კოდში დაემატოს კოდი 06 02 08 „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა“. აღნიშნულ კოდში გათვალისწინებულ იქნას:

    - გენდერული საბჭოს მუშაობის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული ხარჯი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება - 5.0. ათასი ლარი

- ძალადობის წინააღმდეგ კვირეულის (25.11.2019-.10.12.2019წწ) მოწყობისათვის - 1.0. ათასი ლარი
- „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ პროეტის განხორციელების ხელშეწყობა - 7.0 ათასი ლარი.

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯში (პროგრამული კოდი 06 02 06) საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების მუხლში დაემატოს „შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ხარჯის თანხა გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად.
- დაბის განვითარების გენერალური დაგეგმარებისათვის 2019 წლის ბიუჯეტში თანხების გამოყოფა.
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლების- ერკეთისა და ხევის დამაკავშირებელი გზის პროექტირებისთვის თანხის გამოყოფა.
- დაბაში მდებარე, რამიშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასასრულებლად თანხების გამოყოფა.
- გოგიბერიძის, გურგენიძის, ფიროსმანისა და დოლიძის ქუჩებთან არსებული მოედნად წოდებულ ტერიტორიაზე სტადიონის მოწყობისთვის თანხის გამოყოფა.
- ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებში კეთილმოწყობის, კონცეფციის შემუშავებისთვის საჭირო თანხის გამოყოფა.
- სოფ. ხევის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპირსამაგრის მოსაწყობად 2019 წლის ბიუჯეტში თანხის გამოყოფა.
- ბიუჯეტში რელიგიისთვის გამოყოფილი თანხისთვის 10,0 ათასი ლარის დამატება.

მერიის მიერ შემოტანილი ბიუჯეტის ახალ პროექტში გათვალისწინებული იქნა შენიშვნები, კერძოდ:

1. გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წელს ექსპლოტაციაში შევიდა სს წყალი მარგებელის განახლებული ქარხანა, წარმოების ზრდის მოცულობის პროგნოზიდან გამომდინარე 2018 წლის ბიუჯეტში წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი განისაზღვრა გაზრდილი - 1 800.0 ათ. ლარის ოდენობით, თუმცა, მიმდინარე წლის ცხრა თვის მონაცემებიდან გამომდინარე ფაქტობრივად შემოსულია 590.5 ათასი

ლარი, გამომდინარე აქედან 2019 წლის ბიუჯეტში წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 000.0 ათ. ლარით

2. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო ხარჯები დაფინანსდება მმართველობისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

3. სკოლამდელი განათლების ხარისხის ზრდის უზრუნველსაყოფად მომდევნო წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 300.0 ათ. ლარი, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტში მიმართული იყო 980.0 ათ. ლარი. შესაბამისად 2019 წლის ბიუჯეტში აღნიშნული მიმართულებით ზრდა არის 320.0 ათ. ლარის ოდენობით.

4. საკრებულოს ფრაქციების საქმიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელდება კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამიდან.

5. გათვალისწინებულია და დაფინანსდება განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული პროგრამის ასიგნება პირვანდელ ვარიანტთან შედარებით გაიზარდა 16.0 ათასი ლარით.

6. გათვალისწინებულია განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

7. გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის პროექტში და მოხდება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოხვრის ხელწყობის ქვეპროგრამის ცალკე გამოყოფა (13.0 ათ. ლარი).

8. გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის პროექტში და მოხდება შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯის ქვეპროგრამის ცალკე გამოყოფა.

2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით არის გაზრდილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფინანსო- საბიუჯეტო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მხარი დაუჭიროს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტს”.